ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N103

2015 წლის 30 ივლისი
ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქობულეთი დ. აღმაშენებლის გამზირი N114-ის მიმდებარედ მდებარე 2477,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 1946,25 კვ.მ ფართის შენობა-ნაგებობის (ქობულეთის კულტურის სახლი, ს/კ N20.42.06.174) იჯარის ფორმით გაცემაზე.

2. უარი ეთქვას ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს ქობულეთი დ. აღმაშენებლის გამზირი N114-ის მიმდებარედ მდებარე 2477,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 1946,25 კვ.მ ფართის შენობა-ნაგებობის (ქობულეთის კულტურის სახლი, ს/კ N20.42.06.174) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, მოვლა პატრონობის მიზნით არსებობის ვადით ა(ა)იპ „ქობულეთის კულტურის ცენტრი“-სათვის გადაცემაზე.

3.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ვ.ქარცივაძე);

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30);

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ს.ოქროპირიძე